


ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ს/ს ინსტიტუტი  
უკრაინისტიკის ს/კ ცენტრი

Тбіліський державний університет імені Іване Джавахішвілі  
Факультет гуманітарних наук  
Н / Н Інститут перекладу і літературних взаємозв'язків  
Н / Д Центр Україністики

პროფესორ **ოთარ ბაქანიძის** დაბადებიდან  
90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია  
„ქართულ-უკრაინული ლიტერატურულ-კულტურული დიალოგი“



**«Грузинсько-український літературно-культурний діалог»**

Присвячена до 90 річчя від дня  
народження професора **Отара Баканідзе**

**პროგრამა და თეზისები**

26 მარტი, 2019 წელი

**ПРОГРАМА ТА ТЕЗИ**

26 березня, 2019 року

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ს/ს ინსტიტუტი  
უკრაინისტიკის ს/კ ცენტრი

**Тбіліський державний університет імені Іване Джавахішвілі**  
**Факультет гуманітарних наук**  
**Н / Н Інститут перекладу і літературних взаємозв'язків**  
**Н / Д Центр Україністики**

**პროფესორ ოთარ ბაქანიძის დაბადებიდან**  
**90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი**

**სამეცნიერო კონფერენცია**

**„ქართულ-უკრაინული ლიტერატურულ-კულტურული დიალოგი“**

**«Грузинсько-український літературно-культурний діалог»**

Присвячена до 90 річчя від дня народження  
професора **Отара Баканідзе**

**პროგრამა და თეზისები**

**26 მარტი**

**2019 წელი**

**ПРОГРАМА ТА ТЕЗИ**

**26 березня**

**2019 року**

**Тбіліський державний університет імені Іване Джавахішвілі**  
**Факультет гуманітарних наук**  
**Н / Н Інститут перекладу і літературних взаємозв'язків**  
**Н / Д Центр Україністики**

**«Грузинсько-український  
літературно-культурний діалог»**

Присвячена до 90 річчя від дня народження  
професора Отара Баканідзе

**26 березня**  
**2019 року**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ს/ს ინსტიტუტი  
უკრაინისტიკის ს/კ ცენტრი

პროფესორ ოთარ ბაქანიძის დაბადებიდან  
90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი

სამეცნიერო კონფერენცია  
„ქართულ-უკრაინული  
ლიტერატურულ-კულტურული დიალოგი“

26 მარტი  
2019 წელი

**საორგანიზაციო კომიტეტი:**

პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი (თავმჯდომარე)  
ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი  
ფილოლოგიის დოქტორი ივანე მჭედელაძე  
ფილოლოგიის დოქტორი ნინო ნასყიდაშვილი

**რეგლამენტი:**

მოსხენება პლენარულ სხდომაზე – 20 წუთი  
მოსხენება სექციის სხდომაზე – 15 წუთი  
მსჯელობა – 5 წუთი

**სამუშაო ენები:** ქართული და უკრაინული

**Організаційний комітет:**

Професор **Нана Гапріндашвілі** (голова комітету)  
Асоційований професор **Екатеріне Наврозашвілі**  
Доктор філології **Іване Мchedладзе**  
Доктор філології **Ніно Наскідашвілі**

**Регламент:**

Доклад на пленарне засідання – 20 хвилин  
Доповідь – 15 хвилин  
Обговорення – 5 хвилин

**Робочі мови конференції:** грузинська та українська

**სამშაბათი, 26 მარტი**  
**Вівторок, 26 Березня**

10<sup>30</sup>-11<sup>00</sup>

**კონფერენციის მონაწილეთა რეგისტრაცია**  
**Реєстрація учасників конференції**

*ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ, I კორპუსი, 107-ე აუდიტორია*  
*Пр. Іллі Чавчавадзе №1, ТДУ, I корп., ауд. № 107*

11<sup>00</sup>-12<sup>00</sup>

**კონფერენციის გახსნა**  
**Відкриття конференції**

**მისალმებები:**

**Привітання:**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
რექტორი **გიორგი შარვაშიძე**  
**Георгій Шарвашидзе** – Ректор Тбіліського державного університету  
ім. І. Джавахішвілі

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი,  
პროფესორი **ნანა გაფრინდაშვილი**  
**Нана Гапріндашвілі** – Декан гуманітарного факультету  
Тбіліського державного університету ім. І. Джавахішвілі

დოკუმენტური ფილმის, „დიდი მამამსახლისის „პატარა უკრაინის“, ჩვენება  
(ავტორი გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“  
რედაქტორი ნინო კაკულია)  
Показ фільму „Маленька Україна Великого Господаря“  
(автор: редактор газети «Тбіліський університет» Ніно Какулія)

**შესვენება/ ПЕРЕРВА**  
12<sup>00</sup>-13<sup>00</sup>

**სამშაბათი, 26 მარტი**

**Вівторок 26 Березня**

**13<sup>00</sup>-16<sup>00</sup>**

**პირველი სხდომა**

*ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ, I კორპუსი, 107-ე აუდიტორია*

**Перше засідання**

*Пр. Іллі Чавчавадзе №1, ТДУ, I корп., ауд. № 107*

სხდომის თავმჯდომარე – პროფესორი **ნანა გაფრინდაშვილი**

Голова засідання – професор **Нана Гапріндашвілі**

**ლიუდმილა გრიციკი**

*ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ნაციონალური უნივერსიტეტი*

**ოთარ ბაქანიძე: ქართული უკრაინისტიკის მოდელები**

**Людмила Грицик**

*Київський національний університет імені Тараса Шевченка*

**Отар Баканідзе: моделі грузинської україністики**

**ნანა გაფრინდაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**ეთნოსტერეოტიპი, როგორც შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის**

**კვლევის ობიექტი**

**Нана Гапріндашвілі**

*Тбіліський державний університет ім. Іване Джавахішвілі*

**Етностереотип, як об'єкт дослідження порівняльного літературознавства**

**მარიამ მირესაშვილი**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**ლიტერატურის მულტიკულტურული კონტექსტი: კოლონიური და**

**პოსტკოლონიური რეალობა აკა მორჩილაძის რომანში „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“**

**Маріам Міресашвілі**

*Сухумський державний університет*

**Мультикультурний контекст літератури: колоніальна та постколоніальна реальність у романі Аки Морчиладзе «Геть республіка кукурудзи»**

**კახაბერ ლორია**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**გურამ გეგეშიძის რომანი „ცოდვილი“ ქართულ და უცხოურ ლიტერატურულ კონტექსტში**

**Кахабер Лорია**

*Тбіліський державний університет ім. Іване Джавахішвілі*

**"Грішний" Гурама Гегешідзе в грузинському та зарубіжному літературногму контексті**

**ლადო მინაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**ალექსანდრე ყაზბეგის დრამატურგიული ოსტატობა**

**Ладო Мінашвілі**

*Тбіліський державний університет ім. Іване Джавахішвілі*

**Драматургічна майстерність Олександра Казбегі**

**ნინო წერეთელი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**თანამედროვე ქართული დოკუმენტური პროზა – ინა არჩუაშვილის „ლიტვური დღიური“**

**Ніно Церетелі**

*Тбіліський державний університет ім. Іване Джавахішвілі*

**Сучасна грузинська документальна проза – Литовські щоденники Інни Арчუашвілі**

**ეკა ვარდოშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**ილია ჭავჭავაძე ივანე ტურგენევის „ლექსნი პროზითას“ პირველი მთარგმნელი**

**Ека Вардошвілі**

*Тбіліський державний університет ім. Іване Джавахішвілі*

**Ілля Чавчавадзе, перший перекладач «Віршів у прозі» Івана Тургенєва**

**თამარ ვეფხვაძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**გ. დერჟავინის ერთი ცნობილი ლექსის ქართული თარგმანის მნიშვნელობისათვის**

**Тамар Вепхвадзе**

*Тбіліський державний університет ім. Іване Джавахішвілі*

**До питань грузинського перекладу одного відомого вірша Г. Державіна**

**სამშაბათი, 26 მარტი**

**Вівторок 26 Березня**

**13<sup>00</sup>-16<sup>00</sup>**

**მეორე სხდომა**

*ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ, I კორპუსი, 202-ე აუდიტორია*

**Друге засідання**

*Пр. Іллі Чавчавадзе №1, ТДУ, I корп., ауд. № 202*

სხდომის თავმჯდომარე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

**დარეჯან მენაბდე**

Голова засідання – доктор філологічних наук **Дареджан Менабде**

**პეტრო კონონენკო**

*უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია*

**ოთარ ბაქანიძე: ცხოვრება და შემოქმედება საქართველოს სახელის სადიდებლად**

**Петро Кононенко**

*Національна академія наук України*

**Отар Баканідзе – Життєтворчість в ім`я величі і слави Грузії**

**დარეჯან მენაბდე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

**„ვეფხისტყაოსნის“ ნაწარმოების ქართული თარგმანის გამოქვეყნების გამო**

**Дареджан Менабде**

*Институт грузинської літератури ім. Шота Руставелі Тбіліського державного університету ім. Іване Джавахішвілі*

**До питань опублікування перекладу «Вітязя у тигровій шкурі», виконаного Олександром Навроцьким**

**რუსუდან ჭანტურიშვილი**

*ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი*

**პროფესორ ოთარ ბაქანიძის რედაქტორობით გამოცემული უკრაინულ-ქართული ორენოვანი კრებულები**

**Русудан Чантурішвілі**

*Грузинський університет ім. Андрія Первозванного*

**Українсько-грузинські двомовні збірки, видані під редагуванням професора Отара Баканідзе**

**ივანე მჭედელაძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**ცოდნა, როგორც კულტურული კონსტრუქცია: სამეცნიერო**

**ლიტერატურა ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ**

**Іване Мчедელაძე**

*Тбіліський державний університет ім. Іване Джавахішвілі*

**Знання, яка культурна конструкція: наукова література з питань грузинсько-українських літературних відносин**

**ნინო ნასყიდაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**ტიციან ტაბიძე და მიკოლა ვორონი: ტიპოლოგიური მიმართებების საკითხისთვის**

**Ніно Наскідашвілі**

*Тбіліський державний університет ім. Іване Джавахішвілі*

**Тіціан Табідзе та Микола Вороний: до питань типологічних відносин**

**ეკატერინე ნავროზაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**ებრაული ოსტროგი: რამდენიმე კულტუროლოგიური ასპექტი**

**Екатеріне Наврозашвілі**

*Тбіліський державний університет ім. Іване Джавахішвілі*

**Єврейський Острог: декілька культурологічних аспектів**

**ბორის სინიუკი**

*კავშირ „დნეპრის“ პრეზიდენტი*

**XIX საუკუნეში უკრაინელების საქართველოში გამოჩენასთან**

**დაკავშირებული ისტორიული ფაქტები**

**Борис Синюк**

*Голова союзу «Дніпро»*

**Историчні факти, пов'язані з появою українців в Грузії у XII ст.**

**ნათია სიხარულიძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

**გალაკტიონ ტაბიძე და უკრაინული მწერლობა (ორი ეტიუდი ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობებიდან)**

**Натія Сіхарулідзе**

*Інститут грузинської літератури ім. Шота Руставелі Тбіліського державного університету ім. Іване Джавахішвілі*

**Галактіон Табідзе та українське письменство (два етюдів з грузинсько-українських літературних відносин)**

**სოფიო ჩხატარაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**უკრაინისტიკის ინსტიტუტის როლისა და მნიშვნელობისათვის XXI**

**საუკუნის ქართულ-უკრაინულ კულტურათა დიალოგში**

**Софіо Чхатарашвілі**

*Тбіліський державний університет ім. Іване Джавахішвілі*

**Для роли та значення інституту україністики в грузинсько-українському культурному діалозі XXI століття**

**ნათელა ფოფხაძე**

*საერო აკადემია „ფაზისი“*

**სად გადაიჯაჭვა ძველი კოლხური/ძველი ქართული და ამჟამინდელი**

**უკრაინული კულტურა**

**ნატელა პოპხაძე**

*ნაციონალური აკადემია «ფაზისი»*

**დე პერეხრესტილასა დავნია კოლხსკა /დავნია გრუზინსკა თა სუჩასნა უკრაინსკა კულტურა**

**სასტენდო მოხსენებები:**

**სტენდოვი დოპოვიდი:**

**ალექსანდრ ბორონი**

*უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ტ. შვეჩენკოს სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი*

**ქართული შვეჩენკიანა „შვეჩენკოს მცოდნეობითი ენციკლოპედიის“**

**ფურცლებზე**

**Олександр Боронь**

*Институт літератури ім. Т. Г. Шевченка НАН України*

**გრუზინსკა шевченкіана на сторінках «Шевченківської енциклопедії»**

**ოლექსანდრ მუზიჩკო**

*ი. მეჩნიკოვის სახელობის ოდესის ნაციონალური უნივერსიტეტი*

**ქართული ლიტერატურის პოპულარიზაცია მე-19 საუკუნის**

**დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ოდესაში**

**Музичко Олександр**

*Одеський національний університет імені І.І. Мечникова*

**პოპულარიზაცია გრუზინსკოი ლიტერატური ვ ოდესი ნაპრიკინცი XIX –**

**ნა პოჩატკუ XX სტ.**

**იაროსლავ ფილიპჩუკი**

*მ. დრაგომანოვის სახელობის ნაციონალური პედაგოგიური უნივერსიტეტი*

**ადრეული ალანები: პოლიტიკური და ეთნიკური ისტორიის საკითხები**

**Ярослав Пилипчук**

*Національний педагогічний університет імені М.П. Драгоманова*

**რანი ალანი: პიტანნა პოლიტიკოი თა ეთნიკოი ისტორიი**

## თეზისები / ТЕЗИ

### ნანა გაფრინდაშვილი

#### ეთნოსტერეოტიპი, როგორც შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის ობიექტი

ტერმინი „სტერეოტიპი“ სამეცნიერო წრებრუნვაში 1922 წელს შემოიტანა ამერიკელმა მკვლევარმა ლიპმანმა, რომელმაც იგი ტიპოგრაფიიდან ისესხა. დიდი ხნის განმავლობაში იგი დრომოჭმული წარმოდგენების აღსანიშნავად გამოიყენებოდა. მოგვიანებით მისი მნიშვნელობა გაფართოვდა. დღეს ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და მათ შორის შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში აქტიურად გამოიყენება ტერმინი ეთნოსტერეოტიპი, სტანდარტული, ემოციური ელფერის მქონე, მყარი, სქემატიზებული, ნაკლებადცვალებადი წარმოდგენის აღსანიშნავად რომელიმე ერის (ეთნოსის) შესახებ, რომელიც მექანიკურად ვრცელდება მის ყველა წარმომადგენელზე და ვლინდება როგორც გარკვეული ხატების/სურათების, ასევე ლოგიკური მსჯელობის სახით.

ეთნოსტერეოტიპებს სწავლობს შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი შედარებით ახალი და საინტერესო დარგი – იმაგოლოგია. იგი იკვლევს ეთნოსტერეოტიპების აღმოცენების მიზეზებს, მხატვრულ ნაწარმოებში მის ფუნქციას, მწერალთა დამოკიდებულებას სტერეოტიპისადმი, ამ დამოკიდებულების გამომწვევ მიზეზებს. სხვა ხალხების სახეებს კულტურის ტექსტებში, მათს ხასიათსა და ხალხის ცნობიერებაში არსებულ ცრურწმენებს მათ შესახებ. სტერეოტიპი ახდენს ეთნიკური ჯგუფების, კულტურის მოვლენების თუ პიროვნებების შესახებ წარმოდგენების უნიფიცირებას და აქვთ დიდი დამარწმუნებელი ძალა.

სტერეოტიპი პირველადი იმაგოლოგიური ფორმაა და შეიძლება გამოვლინდეს როგორც ლოგიკურ მსჯელობებსა და დასკვნებში, ასევე სახე-ხატებში. იგი მიემართება არა კონკრეტულ პიროვნებებს, არამედ მთელ ეთნიკურ ჯგუფს.

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა სწავლობს როგორ ხდება მხატვრულ ლიტერატურაში როგორც ენდოეთნოსტერეოტიპების (ერის წარმოდგენები საკუთარი თავის შესახებ), ასევე ეგზოეთნოსტერეოტიპების (ერის წარმოდგენები რომელიმე სხვა ერის შესახებ) წარმოჩენა. ენდოეთნოსტერეოტიპები, როგორც წესი, დადებითია, ხოლო ეგზოეთნოსტერეოტიპები დადებითიც შეიძლება იყოს და უარყოფითიც. ხშირად ენდოეთნოსტერეოტიპული წარმოდგენებით მხატვრული ლიტერატურა აიდეალებს საკუთარ თავს, საკუთარ ხასიათს, ზნეობას, ინტელექტს, ისტორიას, კულტურას, ხოლო ეგზოეთნოსტერეოტიპული წარმოდგენებით ხშირად ხდება სხვა ხალხის თვისებების დამახინჯება.

### ლიუდმილა გრიციკი

#### ოთარ ბაქანიძე: ქართული უკრაინისტიკის მოდელები

2019 წლის მარტში, ცნობილ ქართველი უკრაინისტის, საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის აკადემიკოსის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ნაციონალური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, ოთარ ბაქანიძის 90 წლის იუბილე აღინიშნება. მეცნიერი მეტად საპატიო ასაკს ხვდება უკრაინულ-ქართული ურთიერთობების, უკრაინული ლიტერატურის ისტორიის პრობლემებისადმი მიძღვნილი შრომათა მეტად სოლიდური ჩამონათვალით.

მის პროფესიულ ბიოგრაფიასთანაა დაკავშირებული ასევე ბილინგვური გამოცემები თუ საქართველოში უკრაინისტთა კადრების მომზადების საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი, რის შედეგადაც დღეს ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მოღვაწეობს ო. ბაქანიძის მიერ მომზადებული 10-ზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი, 26 მეცნიერებათა კანდიდატი და სხვ. ოთარ ბაქანიძის სახელს უკავშირდება 40-ზე მეტი მონოგრაფია.

გასულ წელს, როდესაც აღინიშნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე, ქართულსა და უკრაინულ პერიოდიკაში (მაგალითად, „ლიტერატურული უკრაინა“) გამოჩნდა რამდენიმე პუბლიკაცია. ამ პუბლიკაციებში განალიზებული იყო მდიდარი ფაქტობრივი მასალა უკრაინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ. მასალებში ავტორები ყურადღებას ამახვილებდნენ საუნივერსიტეტო უკრაინისტიკის განსაკუთრებულ როლზე. როგორც ცნობილია, უკრაინისმცოდნეობით კვლევებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე რამდენიმე ათეული წლის ტრადიცია აქვს, რომლის სათავეებთან გვევლინება ცნობილი მეცნიერი ოთარ ბაქანიძე.

მეცნიერის მუშაობამ უკრაინისტიკაში განაპირობა ლიტერატურული ურთიერთობებისა და მხატვრული თარგმანის კათედრის ხელმძღვანელობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ პერიოდს ემთხვევა მისი ნაშრომი „ნარკვევები უკრაინული ლიტერატურის ისტორიიდან“, რომელსაც მალალი შეფასება მისცა ცნობილმა აკადემიკოსმა, ევგენი კირილიუკმა. ეს იყო საფუძველი შემდგომი კვლევებისთვის. ავტორი აქტიურად მუშაობდა კიევის, ლვოვის, ოდესის, ხარკოვის არქივებში. ამის შემდგომ ორ მონოგრაფიაში ჩვენ წინაშე გაიხსნა ახალი სახეები და მოვლენები უკრაინულ-ქართულ ურთიერთობათა ისტორიაში: ნ. ლომოური, ა. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე, ი. კოტლიარევსკი, გ.ფ. კვიციანი-ოსნოვიანენკო, მ. გულაკი, ო. ნავროცკი, კ. კეკელიძე; ასევე – მ. სადოვსკის, მ. სტარიცკის, მ. კროპინიციკისა თუ ი. კარპენკო-კარის თეატრალური დასები თბილისში. ყურადღებას იმსახურებს ასევე ო. ბაქანიძის მონოგრაფიები – „უკრაინული ლიტერატურის პირველი დეკადა საქართველოში“ (2000), კიევის უნივერსიტეტი – ქართველი ახალგაზრდების განათლების სავანე“. ყოველი მომდევნო გამოცემა გვარწმუნებს, რომ წინა გამოცემებში განალიზებული მასალამ უკვე დაიკავა თავისი ნიშა. მისი მრავალწლიანი შრომის შემაჯამებელი ნაშრომია უკრაინული ლიტერატურის ისტორიის სამტომეული.

მნიშვნელოვანი ფაქტებია გამოცემული მონოგრაფიების „პრომეთეს მემკვიდრე“ (2014) „ვინ მოყვარესა არ ეძებს“ (2017), „ჩემო კარგო ქვეყანავ“ (2018) და სხვ. ქართულ უკრაინისტიკაში განსაკუთრებით აქტუალურია და მნიშვნელოვანი უკრაინულ-ქართული ლექსიკონის შედგენა, რომელსაც ახორციელებენ ახალი თაობის უკრაინისტიები. მეცნიერებაში თავის ადგილს იკავებს დიდი მეცნიერის ხელმძღვანელობით დაცული დისერტაციები ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის პრობლემებზე, სამაგისტრო პროგრამის „უკრაინისმცოდნეობა“ როლი ქართულ უკრაინისტიკაში და სხვ.

ოთხმოცდაათი წლისთავზე ო. ბაქანიძე არ აჩერებს სამეცნიერო მოღვაწეობას. ჩემთვის ცნობილია მისი ხელმძღვანელობით დაგეგმილი მომავალი პროექტი, რომელიც ხარისხობრივად და მეთოდოლოგიურად ახალი სიტყვა იქნება ქართულ უკრაინისტიკაში.

### **ეკა ვარდოშვილი**

#### **ილია ჭავჭავაძე ივანე ტურგენევის „ლექსნი პროზითას“ პირველი მთარგმნელი**

ა. მორუა „ლიტერატურულ ეტიუდებში“ ტურგენევის შესახებ წერდა: „ხელოვნების ნაწარმოების განსჯისათვის აუცილებელია გვესმოდეს (ტურგენევის მხატვრული დოქტრინაც აქამდე მიდის), რომ რეალიზმის იდეა და პოეზიის იდეა არ გამორიცხავენ ერთმანეთს“ (ა. მორუა). ი. ტურგენევა ქართველ მკითხველს თავი სწორედ პროზის პოეტურობით დაამახსოვრა. ი. ტურგენევის პირველ მთარგმნელად ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ი. ჭავჭავაძე გვევლინება.

1883 წლის დეკემბერში, ი. ტურგენევის გარდაცვალების წელს, ჟურნალ „ივერიაში“ N12 იბეჭდება ი. ჭავჭავაძის მიერ შესრულებული ი. ტურგენევის „ლექსნი პროზითას“ ქართული თარგმანი. ჟურნალ „Вестник Европы“ 1882 წ. N12 პუბლიკაციიდან ილიას შეურჩევია მხოლოდ ის შვიდი ნაწარმოები, რომლებიც გარკვეულწილად ეხმიანებოდა მის შემოქმედებით პრინციპებს.

ესენია: „მუსაიფი“, „ბებერი დედაკაცი“, „ძალი“, „მოხოვარა“, „გაიგონებ მსჯავრსა სულელისასა“ (პუშკინი), „სულელი“, „ბელურა“. ი. ჭავჭავაძეს სურდა, საზოგადოებისთვის არა მხოლოდ გაეცნო ი. ტურგენევის უკანასკნელი თხზულება, არამედ მან პატივიც მიაგო მწერლის ხსოვნას.

აღსანიშნავია ისიც, რომ „თუ ლექსნი პროზითა“ რუსულ მწერლობაში პირველად ი. ტურგენემა შემოიტანა, მათი პირველი ქართული თარგმანით ი. ჭავჭავაძე მოგვევლინა ამ ჟანრის დამამკვიდრებლად ქართულ ლიტერატურაში (გ. შარაძე).

„ლექსნი პროზითა“ პატარ-პატარა მოთხრობებისაგან შედგება. ისინი არ ასახევენ მხოლოდ რუსულ ყოფას და უფრო ზოგადსაკაცობრიო ტენდენციების შემცველნი არიან. მათ შორის არსებობს შინაგანი ღრმა კავშირი, როგორც ტურგენევის „მონადირის ჩანაწერებში“.

ტურგენევის შემოქმედებას იცნობენ და აფასებენ ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში. მოპასანი მას „გენიალურ რომანისტს“ უწოდებდა, ჟორჟ სანდი კი თავის მასწავლებლად თვლიდა. ტურგენევის ინიციატივით ითარგმნა ევროპულ ენაზე პუშკინის, გოგოლისა და ტოლსტოის თხზულებანი.

## **თამარ ვეფხვაძე**

### **გ. დერჟავინის ერთი ცნობილი ლექსის ქართული თარგმანის მნიშვნელობისათვის**

ქართულ რომანტიზმს მრავალი წყარო ჰქონდა, უპირველეს ყოვლისა, ცხადია, ეროვნული. მაგრამ ამჟამად, რომ ქართული რომანტიზმის განვითარებას ხელი შეუწყო ურთიერთობამ ევროპულ და რუსულ მწერლობათსან. ამ ფაქტს ორგვარი შედეგი ჰქონდა. ერთი მხრივ, საკუთრივ ევროპული და რუსული მწერლობის მიღწევათა გაცნობა, მეორე მხრივ კი – ევროპული ლიტერატურული აზროვნების ათვისება.

ქართული რომანტიზმის ჩასახვა-განვითარებისა და საერთოდ, ახალი ქართული მწერლობის დასაწყისის გასააზრებლად საყურადღებოა დიდძალი თარგმნილი ლიტერატურა. მათ შორის, პოეტიკურ-ესთეტიკური თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ნათარგმნი ლირიკა. ამ პერიოდში ქართულად ნათარგმნი ლირიკული ნიმუშების ანალიზი ნათელყოფს, თუ როგორ ხდებოდა მათი ადაპტაცია მხატვრულობის მხრივ ახალი ქართული მწერლობის დასაწყისში.

ამ პროცესის წარმოსაჩენად საინტერესოა ავტორები, რომლებიც, თავის მხრივ, ამავე პერიოდის ევროპული თუ რუსული პოეზიის ლიტერატურულ ფონს ქმნიან. მათ შორის, საყურადღებოა გ. დერჟავინის ლექსი „Бог,“ რათა გაირკვეს, შეიცავენ თუ არა ძველი ქართული მწერლობისათვის ესოდენ ტრადიციულ და კანონიზებულ თემაზე დანერგილი ლექსის თარგმანები ახალი მწერლობისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. ამდენად, არსებითად ჩვენ მხოლოდ თარგმანის პრობლემა კი არ გვაინტერესებს, არამედ უფრო ის, თუ რა ღირსებისაა მისი ქართული შესატყვისი, რა მხრივ ეხმიანება იგი ჩვენი მწერლობის ტენდენციებს.

ქართულად ეს ლექსი უთარგმნია ათზე მეტ პოეტს. ამათგან: პ. ლარაძეს, ი. ბაზლიძეს, დ. დადიანს, მოგვიანებით – დ. ციციშვილს (ამ უკანასკნელის თარგმანი კიდევც დაიბეჭდა), მირიან, იოანე ბატონიშვილებს, გიორგი ავალიშვილს, დიმიტრი მალალაშვილს, რევაზ ყორჩიბაშსა და ალ. ჭავჭავაძეს. ჩვენამდე მოღწეულია უცნობი ავტორის ის თარგმანიც, რომელიც ალ. ნიკოლსკის ნიგნიდან „რუსული სიტყვიერების საფუძვლები“ არის შესრულებული.

ამ თარგმანების ანალიზისას ორგვარი ტენდენცია იკვეთება: ერთი შეხედვით, თუ მხედველობაში მივიღებთ მათ ფორმას, შეიძლება ისინი ჰიმნოგრაფიის მსგავსად ჩაითვალოს, მაგრამ შინაარსეულად ეს თარგმანები განსხვავდება ჰიმნოგრაფიული ელემენტებისაგან და გარდამავალ საფეხურს ქმნის რომანტიკოსთა რელიგიური ლირიკისაკენ. ეს თარგმანები ნიადაგს უმზადებს რომანტიზმს შემდეგი ნიშნებით: 1. ლექსიკური არქაიზმით,

2. მედიტაციურ-განსჯითი ინტონაციით, 3. ბუნების პირველსაწყისის აღიარებითა და ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართების საკითხებით. 4. ამ სოფლური ბედნიერების წარმავლობისა და ცხოვრების ამაოების თემატიკით, 5. ფილოსოფიურ-თეოსოფიური შეხედულებებით.

## **პეტრო კონონენკო**

### **ოთარ ბაქანიძე – ცხოვრება და შემოქმედება საქართველოს დიდების სახელით**

მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების საქართველოს უმაღლესი განათლების ისტორიაში ოთარ ბაქანიძეს გამორჩეული ადგილი უკავია. ცნობილ მეცნიერს, პედაგოგს, აკადემიკოსს, ოთხმოცდაათი წელი უსრულდება.

მახსენდება ჩვენი პირველი შეხვედრა: კიევის უნივერსიტეტის ფილოლოგები ვმართავდით საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას, რომელიც ეძღვნებოდა ქართული და უკრაინული კულტურის ტიტანს, დავით გურამიშვილს. სწორედ აქ მოხდა პირველი და დაუფინყარი შეხვედრა ჩვენ შორის. ამ განსაზღვრა მთელი ჩემი ცხოვრება. მე მინდა გავიხსენო დაუფინყარი სიტყვები აკაკი წერეთლისა: „პირველად სწორედ მისი სიტყვებიდან გავიგე, (გულისხმობს შევჩენკოს პ.კ.) თუ როგორ უნდა სამშობლოსა და საკუთარი ხალხის სიყვარული“. – მე იმავს თქმა შემიძლია ოთარ ბაქანიძეზე, როგორც მასწავლებელზე, პატრიოტზე, რომელიც უდიდესი ცხოვრებისეული გაკვეთილს მაძლევდა ყოველთვის, ეს გრძელდება მთელი ცხოვრება და არასდროს დამთავრებულა.

ვიხსენებ დიდი მეცნიერის გავლილ გზას უკრაინულ-ქართული ურთიერთობების განვითარებასა და განმტკიცებაში. მე შემსწრე ვარ იმისა, თუ როგორ დაიბადა საბჭოთა უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სისტემაში რევოლუციური იდეა – ოთარ ბაქანიძემ პავლო ფედჩენკოსა და უკრაინელ მეცნიერებს შესთავაზა ქართულ-უკრაინული კონტაქტების განვითარება და ორგანიზება სტუდენტთა გაცვლის წესით. ოთარ ბაქანიძე არის და იყო ბუ-

ნებით რეფორმატორი, მისი იდეები აღმოჩნდა მეტად პერსპექტიული. ეს ეხება არა მხოლოდ სტრუქტურულ-გაცვლის წესს, არამედ სამეცნიერო პროცესების კოორდინაციასაც. მან შექმნა ფართომასშტაბიანი კულტურულ-სახელოვნებო საზოგადოება „უკრაინა“, მთარგმნელთა მთელი ლეგიონი. სწორედ მათი ძალისხმევითაც განხორციელდა უნიკალური პროექტი, გამოიცა ათეულობით ორენოვანი კრებული, ტ. შევჩენკოს, ლ. უკრაინკას, გ. სკოვოროდას, დ. გურამიშვილის, ი. ფრანკოს, მ. ბაჟანის, პ. ტიჩინას თუ სხვათა შემოქმედების თარგმანები.

გავიხსენებ ოთარ ბაქანიძის სამეცნიერო მოღვაწეობას საქართველოსა და უკრაინის კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობათა პრობლემების კვლევაში – ქართულ-უკრაინული ლიტერატურული და თეატრალური ურთიერთობანი, უკრაინული თეატრი თბილისში, უკრაინული ლიტერატურის ისტორიის სამტომეული, მონოგრაფიები გ. სკოვოროდას, ტ. შევჩენკოს, ლ. უკრაინკას, პ. ტიჩინას, ო. გონჩარის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ და სხვ. ფასდაუდებელი გამოცემებია ჩვენი ხალხების ურთიერთობათა მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. მიმაჩნია, რომ ლიტერატურის, კულტურისა და თეატრის დარგებში ო. ბაქანიძის უკრაინისმცოდნეობით ნაშრომებს მსოფლიო უკრაინისტიკაში ანალოგი არ გააჩნია.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო ოთარ ბაქანიძისა და უკრაინელი კლასიკოსი მწერლების პირადი კონტაქტები. მახსოვს, როგორი გამოხმაურება მოჰყვა ოლეს გონჩარის ცნობილი რომანის „ტაძარის“ დაბეჭდვას უკრაინაში. პარტიული ელიტა დიდი უკრაინელი მწერლის დაპატიმრებასაც კი აპირებდა. მაშინ როდესაც დაიწყო ო. გონჩარის ტოტალური დისკრედიტაცია, ოთარ ბაქანიძემ გაუგზავნა მას, და შესაბამისად უკრაინას, პატივისცემითა და სიყვარულით სავსე წერილი. ეს იყო მთელი საქართველოს ნების გამოხატულება!

სრულიად კანონზომიერად მიმაჩნია, რომ იმ დროს, როდესაც ცნობილმა უკრაინისტმა და აღმოსავლეთმცოდნემ, ომელიან პრიცაკმა, აშშ-ში, ჰარვარდის უნივერსიტეტში, გახსნა მსოფლიოში ცნობილი უკრაინისმცოდნეო-

ბის ინსტიტუტი, ოთარ ბაქანიძემაც დააარსა საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკრაინისტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. იგი ასევე ზრუნავდა თბილისის უკრაინულ სკოლაზე. ადვილია და სასიხარულოა ასეთ ფაქტებზე საუბარი, მაგრამ როგორი რთული იყო ნოვატორობის, პირველად დაარსებასთან დაკავშირებული პრობლემები.

## **კახაბერ ლორია**

### **გურამ გეგეშიძის რომანი „ცოდვილი“ ქართულ და უცხოურ ლიტერატურულ კონტექსტში**

გურამ გეგეშიძე მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პროზის უთვალსაჩინოეს წარმომადგენლებს განეკუთვნება. მისი შემოქმედების ადრეული პერიოდიდან საგანგებო აღნიშვნის ღირსია რომანი „ცოდვილი“, რომელიც 1966 წელს დაიწერა. რომანმა იმთავითვე გამოიწვია ლიტერატურული კრიტიკის ინტერესი. სხვა გარემოებებთან ერთად გარკვეული ყურადღება დაეთმო ნაწარმოების „სკანდინავიურ“ ხასიათს, განსაკუთრებით კი მის მიმართებას კნუტ ჰამსუნის „მისტერიებთან“. ჩემი აზრით, გურამ გეგეშიძის რომანი „ცოდვილი“ არის სრულიად ორიგინალური ნაწარმოები, რომელსაც საკუთარი შინაგანი ლოგიკა და თვითკმარი ლიტერატურული ღირებულება გააჩნია. ამ მხრივ ვერც მწერალი და ვერც მისი ეს კონკრეტული ნაწარმოები დავალებულად ვერავისგან ჩაითვლება. როგორც ცნობილია, მთელი საბჭოეთის მასშტაბით 1960-იანი წლებიდან პოლიტიკური პროცესების გარკვეული ლიბერალიზაცია მიმდინარეობს, რაც საქართველოში, ჩემი შეხედულებით, გარკვეულწილად განაპირობებს ლიტერატურული მოდერნიზმის განახლებული ტალღის წარმოშობასაც. ეს ტალღა, ჩემი აზრით, ითვალისწინებს არაერთი იმ სამწერლობო ტენდენციის გაღვივებასა და გაღრმავებას, რომელიც ხელოვნურად იქნა ჩახშობილი ან/და „მოთვინიერებული“ სტალინური ტოტალიტარიზმის მიერ და რომელმაც კვლავ იჩინა თავი სრული ესთეტიკური სიცხადით, როგორც კი ხელოვნებაზე იდეოლო-

გიური წნეხი ოდნავ მაინც შემსუბუქდა. სწორედაც რომ ამ ტალღის ერთ-ერთ უაღრესად წარმატებულ გამოვლინებას წარმოადგენს გურამ გეგეშიძის რომანი „ცოდვილი“, ხოლო თუ ქართველი მწერალი გარკვეული ხასიათის ინსპირაციას იღებდა მსოფლიო მოდერნიზმის კლასიკად ქცეულ ამა თუ იმ ნაწარმოებიდან, ეს კიდევ უფრო საინტერესოსა და თვალსაჩინოს ხდის იმ ცოცხალ და შემოქმედებით დამოკიდებულებას, რომელიც ქართულ ლიტერატურას საბჭოთა წლებშიც კი გააჩნდა მონინავე დასავლურ ლიტერატურულ სკოლებთან და პროცესებთან.

### დარეჯან მენაბდე

#### „ვეფხისტყაოსნის“ ნაწარმოები „ნავროცკისეული თარგმანის გამოქვეყნების გამო“

ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობათა კონტექსტში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შოთა რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანს“. პოემის მ. ბაქანიძისეული უკრაინული თარგმანი პირველად 1937 წელს გამოიცა (მას შემდეგ ეს თარგმანი 12-ჯერ დაიბეჭდა), რამაც უკრაინულ მკითხველს საშუალება მისცა, ახლოს გაეცნო პოემაცა და მისი ავტორიც. მაგრამ მაშინ, სავარაუდოდ, არცთუ ბევრისთვის იყო ცნობილი, რომ უკრაინული რუსთველოლოგია გაცილებით ადრე, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იღებს სათავეს და რომ პირველი მცდელობა პოემის უკრაინულ ენაზე თარგმნისა ამავე პერიოდს მიეკუთვნება. უკრაინული რუსთველოლოგიის ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, ნათლად იკვეთება ორი სახელი – მ. გულაკი და ო. ნავროცკი, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ამ საქმეს.

2017 წელს თსუ გამომცემლობაში დაიბეჭდა პროფ. ოთარ ბაქანიძის წიგნი „ვინ მოყვარესა არ ეძებს...“, რომელშიც განხილულია მიკოლა გულაკის რუსთველოლოგიური ძიებანი და მოთხრობილია ოლექსანდრ ნავროცკის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ პირველი უკრაინული თარგმანის შესახებ. წიგნს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს მასში გამოქვეყნებული ო.

ნავროცკისეული თარგმანის (პროლოგი და პირველი ოთხი თავი) სრული ავტოგრაფი, რაც მომავალში საშუალებას მისცემს ქართველ და უკრაინელ მკვლევრებს, დაინყონ ამ თარგმანის შესწავლა და მის ღირსება-ნაკლოვანება-თა გამოვლენა (მათ შორის, მიმართება მ. ბაჟანისეულ თარგმანთან).

მოხსენებაში შევეხებით აღნიშნულ გამოცემას და „ვეფხისტყაოსნის“ ო. ნავროცკისეულ თარგმანთან დაკავშირებულ საკითხებს.

## **ლადო მინაშვილი**

### **ალექსანდრე ყაზბეგის დრამატურგიული ოსტატობა**

ალექსანდრე ყაზბეგის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დრამატულ ნაწერებს.

დიდი მწერლის პროზის ბრწყინვალეობამ ერთგვარად დაჩრდილა მისი დრამები. ზოგიერთმა მკვლევარმა საერთოდ ეჭვქვეშ დააყენა ალ. ყაზბეგის დრამატურგობა. არა და, მეორე მხრივ, ჩვენ ვიცნობთ ფაქიზი გემოვნების დიდი პოეტის გრიგოლ ორბელიანის აზრს, რომლის თანახმადაც, ალ. ყაზბეგი არის ქვეყნის დრამატული ნიჭის მწერალი და რომ მისი მოთხრობები სწორედ ამ მხრივ არიან განსაკუთრებით საინტერესოები.

გარდა ამისა, ქართველი თეატრალეები, კინოს, რადიოს და ტელევიზიის მუშაკები ხშირად მიმართავდნენ და ახლაც მიმართავენ ალ. ყაზბეგის პროზაულ თხზულებათა ინსცენირებას და ისინიც ადვილად ექვემდებარებიან თეატრისა და კინოს მოთხოვნებს.

შეუწყნარებელია აზრი, რომლის თანახმადაც, ყაზბეგის დრამატურგობა შემთხვევითი იყო და გამომდინარეობდა მაშინდელი თეატრის გადაუდებელი საჭიროებიდან. ალ. ყაზბეგის ცხოვრება თვალნათლივ გვაგრძნობინებს მის ინტერესს გარდასახვისაკენ, თეატრალიზებისაკენ, ადამიანთა ქცევებზე დაკვირვებისა და მართვისაკენ, რაც უტყუარად არის დრამატული მწერლის თვისებები.

გარდა ამისა, ალ. ყაზბეგმა ჯერ კიდევ ყრმობაში დაიწყო პიესების წერა, როცა თეატრის საჭიროება მისთვის უცნობი იყო.

ალ. ყაზბეგმა გასაგები მიზეზების გამო დრამებში ის მასალა აიღო განსასახიერებლად, რაც ქართველი მაყურებლისათვის ახლობელი, გასაგები და მისაღები იქნებოდა და არა ის, რაც მისი პროზის შემოქმედებითი მასალა აღმოჩნდა და დიდებაც მოუტანა.

ალ. ყაზბეგი თავის დრამებში, მართალია, სოციალურად მწვავე და ისტორიულად მნიშვნელოვან მასალას ირჩევს, მაგრამ მისი განხილვის მთავარი ასპექტი ზნეობრივია. აქ დაგმობილია ღალატი, ვერაგობა, პირუტყვეული ყინიანობა, წინ არის წამოწეული პატრიოტიზმის, ჭეშმარიტი სიყვარულის, ერთგულების, მეგობრობის და გმირობის – ვაჟკაცობისა და თავგანწირვის გრძნობები, ყველაფერ ამას საყრდენად კი პიროვნული ღირსების დაცვის გრძნობა გამოდის. ეს მხარე ალ. ყაზბეგის დრამებს ანათესავებს მის დიდებულ მოთხრობებთან.

ალ. ყაზბეგის თხზულებათა მხატვრული მხარის შესწავლა გვარწმუნებს, რომ მისი დრამები არ არიან მოკლებული დინამიზმს; აქ ერთმანეთს ენაცვლებიან ისეთი მომენტები, რომლებიც მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებენ მაყურებელს.

ალ. ყაზბეგის დრამების დინამიზმი დიდად არის განპირობებული ურთიერთგანსხვავებული და ხშირად ურთიერთდაპირისპირებული პერსონაჟების დიალოგებით. ალ. ყაზბეგის დრამებში ხშირია რეპლიკები, რომლებშიც ერთი პირი ცდილობს მეორე რალაცაში დაარწმუნოს, მასზე ზემოქმედება მოახდინოს და ზოგჯერ ახერხებს კიდევ ამას. როგორც მიუთითებენ, ასეთი რეპლიკები ახალი დროის დრამის თავისებურებაა და უცხოა ანტიკური და კლასიციისტური დრამისათვის.

ალ. ყაზბეგის დრამების დიალოგებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ დრამატურგს ძალუძს მყისიერად შეუნაცვლოს ერთმანეთს არა მარტო ურთიერთისაგან განსხვავებულ პირთა რეპლიკები, არამედ ურთიერთდაპირის-

პირებული ხასიათებისაც. მწერლის ეს იშვიათი უნარი თვალსაჩინოდ ჩანს არა მარტო მის დრამებში, არამედ მის ბრწყინვალე მოთხრობებში.

რთულია ისეთი პერსონაჟის რეპლიკების მონოდება, რომელიც სადრამო სიტუაციაში ჩაყენებული, ორჭოფობს, უჭირს გარკვეული გადანყვეტილების მიღება. არსენას ნათლიმამის პეტრეს (დრამა „არსენა“) და კონსტანტინე ბატონიშვილის (დრამა „ნამება ქეთევან დედოფლისა“) რეპლიკებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ალ. ყაზბეგი შესანიშნავად ართმევს თავს ამ სირთულეს.

ალ. ყაზბეგის გმირები არა მარტო ერთმანეთს უპირისპირდებიან, არკვევენ ურთიერთობებს და მოქმედებენ, არამედ საკუთარი სულიერი მდგომარეობის გარკვევითაც არიან დაინტერესებული, საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილნი მაყურებელს უშლიან გულს, თან ხშირად მოქმედების განვითარებასაც უწყობენ ხელს და დრამის გაგებასაც აადვილებენ. ყველაფერი ეს მონოლოგების საშუალებით ხდება.

განსხვავებით დრამისაგან „არსენა“ ისტორიული დრამა „ნამება ქეთევან დედოფლისა“ ყურადღებას იქცევს მასიური სცენების გამოყენებით. აქ მასა არაა წარმოდგენილი პასიურ როლში; იგი მოქმედებს და დრამატული ბრძოლის მონაწილედ გამოდის. როგორც ამბობენ, მასა აქ პიროვნების სიმალლეზეა აყვანილი. დრამის მასობრივ სცენებს აშკარად ატყვია დიდი ხელოვანის ხელი.

### **მარიამ მირესაშვილი**

#### **ლიტერატურის მულტიკულტურული კონტექსტი: კოლონიური და პოსტკოლონიური რეალობა აკა მორჩილაძის რომანში „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“**

თანამედროვე ეპოქაში სივრცის (topos) ლიტერატურულ-კულტურული კატეგორია ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მისი თავისებურებების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია იმ მწერალთა შემოქმედების შესწავლა, რომ-

ლებმაც ამა თუ იმ მიზეზით დატოვეს სამშობლო (მათთვის ბუნებრივი კულტურულ-ლიტერატურული სივრცე) და სხვა ქვეყანაში (სხვა კულტურულ-ლიტერატურულ სივრცეში) გააგრძელეს შემოქმედებითი მოღვაწეობა. მათ ნაწარმოებებში მკვეთრად იჩენს თავს კოლონიალიზმისა და პოსტკოლონიალიზმის ძირითადი ნიშნები: მრავალფეროვანი გეოგრაფიული სივრცე, ორმაგი კოდირების პრინციპი, ინტერტექსტუალობა, „ტექსტი ტექსტში“, კულტურული/კოლექტიური ტრავმა და სხვ. ამასთან ერთად, აღნიშნული ტიპის ლიტერატურაში ფიქსირდება ამა თუ იმ ერის იმაგოლოგიური შეხედულებები, მისი ნაციონალური შეგნებისთვის დამახასიათებელი ეთნოსტერეოტიპები, ანუ სხვა ხალხებისა და კულტურების შესახებ არსებული შემფასებლური ხასიათის წარმოდგენები, რომლებიც მოიცავს შეფასებათა ვრცელ შკალას: უკიდურესად პოზიტიურიდან – უკიდურესად ნეგატიურამდე. წინამდებარე მოხსენებაში ზემოაღნიშნულს გავაანალიზებთ აკა მორჩილაძის რომანზე – „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ – დაყრდნობით.

### ივანე მჭედელაძე

#### **ცოდნა, როგორც კულტურული კონსტრუქცია: სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ**

ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობებისა და ურთიერთმიმართებების კვლევას ათეულობით სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა როგორც საქართველოში, ისე უკრაინაში. ამ მიმართულების კვლევებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი იყო მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი. მათ საფუძველზე შეიქმნა დარგის შესწავლის გამოცდილება – კომუნიკაციური პროცესების სახეებისა და ფორმების, ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მეთოდების დამუშავება. ამ ნაშრომებმა, ჩვენი აზრით, თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე შექმნეს კულტურული ცოდნის ერთგვარი კონსტრუქცია – საქართველოში უკრაინის, ხოლო უკრაინაში საქართველოს შესახებ.

საყოველთაოდ აღიარებულია პროფესორ ოთარ ბაქანიძის დამსახურება ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის უკვე ნახევარსაუკუნოვანი ტრადიციის შექმნასა და განვითარებაში. მეცნიერების კვლევებში აღიარებულია (პ. ნიკოლაევი, ი. მოდებაძე და სხვ.), რომ ყოველგვარი მეცნიერული რეფლექსიისთვის მნიშვნელოვანია როგორც განვლილი გზის განხილვა და სისტემატიზაცია, ისე მომავალი პროცესების ერთგვარი განსაზღვრაც. ვფიქრობ, რომ ქართულ-უკრაინული კვლევების ისტორიაშიც სწორედ ის ეტაპი დგას, რომელიც შეაჯამებს წარსულ ცოდნას და ახალი კვლევების მიმართულებებსაც გამოკვეთს.

მოხსენებაში განვიხილავ ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების კვლევების ტრადიციებსა და მათ შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას საქართველოსა და უკრაინაში. ქრონოლოგიური ჩარჩო საკმაოდ ფართოა და მოიცავს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებს, ასევე, სამეცნიერო ტრადიციების წინაპირობების განსაზღვრასაც. აქვე შევეცდები, შევიმუშავო კვლევის პროცესის პერიოდიზაცია სანყისი ეტაპიდან თანამედროვე/პოსტსაბჭოთა პერიოდის ჩათვლით.

მასალის განხილვა გვარწმუნებს, რომ სამეცნიერო პროცესი უმეტეს შემთხვევაში იკვეთებოდა ისტორიულ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ პროცესებთან. ამიტომ კვლევის არეალში შემოდის სამი აქტორი: **საქართველო – რუსეთი – უკრაინა**. საკითხის შესწავლის თეორიულ ბაზად ვიყენებ გერმანელი სლავისტის, მ. ლეკეს, კონცეფციებს ნაშრომიდან **«Русско-грузинские литературные связи и наука о них в социальном контексте»**. ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების ამსახველი სამეცნიერო ლიტერატურისა და პროცესის გასაანალიზებლად კვლევაში განხილულია პოსტკოლონიური თეორიისთვის დამახასიათებელი ისეთი კატეგორიები, როგორცა – ცენტრი, პერიფერია, კულტურული იმპერიალიზმი, ასევე – ლიტერატუროცენტრიზმი, ცოდნა და ძალაუფლება, ცოდნის პოეტოლოგია და სხვ.

სოციო-კულტურული და პოლიტიკური ცვლილებები გავლენას ახდენს ქართულ-უკრაინული სამეცნიერო დისკურსის, მის შესახებ არსებული ცოდნის კონსტრუირების პროცესზეც. ფართო კულტუროლოგიურ და კომპარატივისტულ ქრილში განსახილველად ამ საკითხზე შექმნილ სამეცნიერო ლიტერატურასთან ერთად გავაანალიზებ ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების ისტორიას, მის შესახებ არსებულ უახლეს გამოკვლევებს ორივე ქვეყანაში. შევეცდები, ასეთი მიდგომით გამოვკვეთო საკვლევი პრობლემის კონტექსტუალიზაცია და პერსპექტივები ქართულსა და უკრაინულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

## ეკატერინე ნავროზაშვილი

### ებრაული ოსტროგი: რამდენიმე კულტუროლოგიური ასპექტი

უკრაინულ ოსტროგს ებრაული ფესვები აქვს. საუკუნეების მანძილზე ებრაელებს განსაკუთრებული ადგილი ეკავათ ოსტროგის კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისტორიული წყაროების მიხედვით, ისინი ოსტროგში მეთხუთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში დასახლდნენ. ამაზე მეტყველებს ოსტროგის ამავე საუკუნის პირველი ებრაული ეპიგრაფიკული წარწერები.

ცალკე უნდა გამოვყოთ ოსტროგის ებრაული სინაგოგა, რომელიც მეთექვსმეტე საუკუნეში ევროპის ებრაელთა კულტურულ-რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა. აქ თავდაპირველად ფუნქციონირებდა რაბინთა სკოლა. მოგვიანებით კი, სტამბა დააარსეს. მომდევნო საუკუნეში სინაგოგას პოლონელ ებრაელთა სულიერი ლიდერის, იმ დროისათვის ცნობილი თალმუდისტის, რაბინ შმუელ ედელსის, სახელი ეწოდა.

დღევანდელი ოსტროგის ებრაული კულტურის მთავარ მემკვიდრეობას, სინაგოგის გარდა, ებრაული სასაფლაო წარმოადგენს, სადაც 14.000-მდე ებრაელია დაკრძალული. ებრაული საფლავების ქვები საინტერესო მასალას შეიცავს მკვლევრებისთვის.

1939 წლიდან იწყება ოსტროგის „საბჭოთა ისტორია“. პოლონეთიდან გამოყოფისა და საბჭოთა წყობის დამყარების შემდეგ „ახალი ფურცელი“ გადაიშალა ოსტროგელ ებრაელთა ცხოვრებაში. ყველა ებრაული სასწავლებელი დაიხურა და არაერთი ოჯახი გადაასახლეს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში. „ებრაულმა ოსტროგმა“ დროებით არსებობა შეწყვიტა.

ოსტროგის „ებრაული ფესვებთან“ დაბრუნებად მიგვაჩნია პროექტი, რომელიც რამდენიმე წელია, ხორციელდება „ოსტროგის აკადემიის“ ნაციონალურ უნივერსიტეტში. ებრაისტიკისა და ბიბლესტიკის სერტიფიცირებული აკადემიური პროგრამის ფარგლებში იმართება საერთაშორისო სკოლები, რომლებშიც მონაწილეობენ ამერიკის, ევროპისა და აზიის მოქალაქეები.

მოხსენებისას ასევე ვისაუბრებთ ებრაისტიკისა და ბიბლესტიკის სკოლის მნიშვნელობაზე, მის მიზნებსა და ამოცანებზე.

## **ნინო ნასყიდაშვილი**

### **ტიციან ტაბიძე და მიკოლა ვორონი: ტიპოლოგიური მიმართებების საკითხისთვის**

ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიის შესწავლისა და ანალიზისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭირო ფაქტორია ორი სხვადასხვა ლიტერატურისა და კულტურული ტრადიციის კონტექსტის გააზრება. ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევა განსაკუთრებულ ფაზაში შევიდა საბჭოთა პერიოდში, როდესაც „ხალხთა მეგობრობის“ იდეამ უკრაინისა და საქართველოს მთელი კულტურული ცხოვრების ასპექტები მოიცვა. კვლევის თემატიკა ძირითადად ეხებოდა როგორც ვიწრო, მცირე შედარებით კვლევას ცალკეული მწერლების შემოქმედების ანალიზზე, ასევე ზოგადად, დაწყებული ისტორიული ფაქტების შესწავლითა და დამთავრებული „ერთიანი ოჯახის“ იდეით.

როგორც დმიტრო ნალივაიკო თავის ნაშრომში „კომპარატივისტიკა და ლიტერატურის ისტორია“ აღნიშნავს, ხალხთაშორისი ლიტერატურული ურთიერთობები – ესაა რთული და მრავალმხრივი პროცესი, რომელიც შეიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს. ძირითადი, ფუნდამენტალური ასპექტები კი გენეტიკურ-კონტაქტური კავშირებია, რომლებსაც განსხვავებული ფორმები გააჩნია, ხოლო მეორე – ტიპოლოგიური შესაბამისობა და ერთობლიობა წარმოიქმნება ლიტერატურების განვითარების გარეკონტაქტური ფაქტორებისგან: საზოგადოებრივ-ლიტერატურული, კულტურული, მხატვრული და სხვა.

ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების შესწავლის და ანალიზის მიზანი არა მხოლოდ ამ ორ ლიტერატურას შორის მსგავსების პოვნა და საერთო დასკვნების გამოტანაა, არამედ თავად ეს პროცესი ითვალისწინებს ორ სხვადასხვა ლიტერატურას შორის ერთსა და იმავე პერიოდში, ისტორიული განვითარების იმავე ეპოქაში, თითქმის თანაბარი შეზღუდვის, აკრძალვის, ტერორისა და ფუჭი იდეოლოგიის პირობებში, განსხვავებული ფაქტორების, მოვლენებისა და თუნდაც პროცესების წარმოქმნისა და განვითარების მიზეზების შესწავლას. მაგალითისთვის, საკმაოდ საინტერესო მასალას გვაძლევს სულ მცირე ხნის წინ ტაბუახსნილი თემა – ოცდაათიანი წლების უკრაინული ლიტერატურის ისტორია, ქართველი და უკრაინელი რეპრესირებული მწერლების შემოქმედება და ბედი, მათი პირადი ტრაგედია და სულიერი თუ ფიზიკური განადგურება.

ამ მოცემულ შემთხვევაში მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების ქართული და უკრაინული ლიტერატურის ორ მნიშვნელოვან ფიგურაზე, მიკოლა ვორონსა და ტიცინან ტაბიძეზე შევჩერდებით და შევეცდებით მათი შემოქმედების მოკლე ანალიზით ნათლად წარმოვაჩინოთ ის ფაქტორები და მოვლენები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ქართული და უკრაინული ლიტერატურულ სამყაროში, ზოგადად, საქართველოსა და უკრაინის ისტორიაში. შედარებისა და განხილვისთვის ძალიან საინტერესოა უკრაინელი სიმბოლისტი მწერლის, მ. ვორონის აღმანახი „З-над хмар і долин“, (ლრუბ-

ლებსა და მინდვრებს ზემოთ), რომელიც გამოვიდა 1903 წელს, ასევე იმავე პერიოდში ჩამოყალიბებული ლიტერატურული ჯგუფი „ახალგაზრდა მუზა“, და „**ცისფერი ყანნები**“ – ლიტერატურული ჟურნალი, (1916), ტიცციან ტაბიძის მნიშვნელოვანი როლი „ცისფერი ყანნების“ ლიტერატურული ჯგუფის დაფუძნებასა და ამავე სახელწოდების ჟურნალის გამოცემაში.

მიკოლა ვორონი და ტიცციან ტაბიძე სამწერლობო ასპარეზზე იმთავითვე ცდილობდნენ შეექმნათ საერთო პლატფორმა ლიტერატურული პროცესის კონსოლიდაციისთვის, რაც დიდად არ ხიბლავდა მაშინდელ ხელისუფლებას, მასში ეროვნული იდეოლოგიის ნიშნებს ხედავდა, ამიტომ ორივე პოეტს უმკაცრესი განაჩენი გამოუტანა სიცოცხლის მოსპობისა და ფიზიკური განადგურების სახით.

## **ბორის სინიუკი**

### **XIX საუკუნეში უკრაინელების საქართველოში გამოჩენასთან დაკავშირებული ისტორიული ფაქტები**

უამრავ ქვეყანას შორის საქართველო გამოირჩევა მრავალსაუკუნოვანი ისტორიით, რელიგიური და ეთნიკური ტოლერანტობით.

საქართველოში მრავალრიცხოვან დიასპორათა წარმოშობის ფართოდ ცნობილი ისტორიული ფაქტების ფონზე უკრაინის დიასპორის წარმოშობის შესახებ ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ მიგვიყვანა მრავალ საინტერესო ისტორიულსა და ეთნოგრაფიულ ფაქტამდე, რომლებიც მოითხოვს გაშუქებასა და უფრო დეტალურ სამეცნიერო კვლევას.

ბორჯომისა და ახალციხის რეგიონების ისტორიის ამსახველი საარქივო-სამუზეუმო მასალებისა და უკრაინული ეროვნების ადგილობრივ მცხოვრებთა მოგონებების შესწავლამ შესაძლებელი გახდა საქართველოში უკრაინის დიასპორის წარმოშობის ფაქტები დაგვედგინა. საარქივო დოკუმენტები ადასტურებს, რომ 1852-1853 წლებში კავკასიაში რუსეთის მეფისნაცვლის, კნიაზ ვორონცოვის, ბრძანებით, ბორჯომის რეგიონის

რომანოვების სახელმწიფო საკუთრებაში პოლტავის, ჩერნიგოვისა და ჩერკასის გუბერნიებიდან გადმოსახლებულ იქნა 200 უკრაინული ოჯახი, 1800 ადამიანზე მეტი. აღნიშნული მოვლენა მიზნად ისახავდა ბორჯომის კურორტის მშენებლობას, სამცხე-ჯავახეთის სასახლევრო რეგიონის მდიდარი ბუნებრივი რესურსების ათვისებასა და, რასაკვირველია, ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაციას.

1853 წელს, პოლტავის საკუთრების სახელმწიფო პალატამ მიიღო 4 ათასი რუბლი ვერცხლით კაზაკების ბორჯომის რეგიონში ინტეგრირების განსახორციელებლად. იმავე წელს დაიწყო პოლტავიდან ბორჯომის რეგიონში 200 უკრაინული ოჯახის გადასახლების პროცესი. ბორჯომის რეგიონის სახელმწიფო საკუთრებაში, წალვერის, დაბის, მიტარბის, ტბის, ბაკურიანის, ცემისა და ციხისძირის მახლობლად დასახლდნენ უკრაინელი კაზაკები: ბანდურ, ნაგოგა, გავვა, რომანენკო, შავკანი, მარტინენკო, უსტიმენკო, პასჩენკო, შევჩენკო, ჩუბკო, კოსი და სხვები. 1854 წლის მეფისნაცვლის არქივების თანახმად, დასტურდება, რომ წარმოუდგენლად მძიმე მალალმთიანი პირობების, შიმშილისა და დაავადების შედეგად დაიღუპა 100-ზე მეტი ადამიანი.

უკრაინელებმა, რომლებიც ბაკურიანში, წალვერში, დაბაში დასახლდნენ, ადგილობრივი ქართველების მხარდაჭერით, რომლებმაც ისინი მიიღეს როგორც მოძმე ერთმორწმუნეები, დაიწყეს ცხოვრება, შეინარჩუნეს უკრაინული ღირებულებები, ადათ-წესები, მშობლიური ენა, რითაც მოიპოვეს ადგილობრივი მოსახლეობის პატივისცემა და კეთილგანწყობა.

დღეს უკრაინელების რამდენიმე ათასი შთამომავალი კომპაქტურად ცხოვრობს ბაკურიანში, წალვერში, აწყურში, თისელსა და გაფანტულად მთელ საქართველოში.

2003 წლიდან ბორჯომისა და ახალციხის რეგიონებში მცხოვრები უკრაინელების 1000-ზე მეტი შთამომავალი გაერთიანდა საერთაშორისო კავშირ „დნეპრში“, რომელიც წარმოადგენს საქართველოში უკრაინელთა სათვისტომოსა და ეწევა კულტურულ-საქველმოქმედო და სამეცნიერო-საგანმანათლებლო მოღვაწეობას.

XIX საუკუნეში უკრაინელებმა, რომლებიც თავიანთი ნების წინააღმდეგ მოხვდნენ ქართულ მიწაზე, გაამდიდრეს ადგილობრივი ცხოვრება თავიანთი კულტურით, ტრადიციებით, წინაპართა გამოცდილებითა და სხვა უკრაინული თვისებებით, რომლებსაც დღემდე ინარჩუნებენ. პოლტაველი და ჩერკასი კაზაკების შთამომავლების ცხოვრება გააჟღენთილია ისეთი ეთნიკური უკრაინული თვისებებით, რომელთა შენიშვნა ზოგჯერ რთულია ადამიანისთვის, რომლისთვისაც უცნობია უკრაინული კულტურის სპეციფიკა.

მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი მცდელობებისა, უკრაინელების ცნობიერებიდან მათი ნაციონალური კუთვნილების ამოშლისა, ბორჯომსა და სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებმა კაზაკების შთამომავლებმა მაინც შეინარჩუნეს ეროვნული მემკვიდრეობა და სიყვარული უკრაინის მიმართ. მათ საქართველოში ახალი სამშობლო იპოვეს.

### **ნათია სიხარულიძე**

#### **გალაკტიონ ტაბიძე და უკრაინული მწერლობა (ორი ეტიუდი ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობებიდან)**

უდიდესი ქართველი ლირიკოსის, გალაკტიონ ტაბიძის (1891-1959) მიმართება უკრაინულ მწერლობასთან, ფაქტობრივად, შეუსწავლელია. ბოლო წლებში გამოქვეყნებულმა გალაკტიონის საარქივო გამოცემამ, სადაც სრულად არის წარმოდგენილი პოეტის დღიურები და უბის წიგნაკები, ასევე ნაწარმოებთა ავტოგრაფების შესწავლამ, ცხადყო ქართველი პოეტის ინტერესი უკრაინული ლიტერატურისადმი, უფრო მეტიც, გაირკვა, რომ გალაკტიონ ტაბიძის ზოგიერთი ლექსი ამა თუ იმ უკრაინელი ავტორის ნაწარმოებიდან მიღებული შემოქმედებითი იმპულსის შედეგად არის შექმნილი და ქართველი პოეტი თავის სათქმელს უკრაინული პოეზიის რომელიმე ნიმუშზე ალუზიით გამოხატავს. სწორედ ამგვარი შემთხვევებია წარმოდგენილი და გაანალიზებული ჩვენს მოხსენებაში.

## ნათელა ფოფხაძე

### სად გადაიჯაჭვა ძველი კოლხური/ძველი ქართული და ამჟამინდელი უკრაინული კულტურა

ათწლეულების მანძილზე ჩაძიებული ყურადღებით მოვიძიე, ვიკითხე და ვიკვლიე ჩვენი ეთნოსის კულტურის ჩრდილოეთით განფენილობის მიდამოს საკითხი. შთაბეჭდილებებს მოვახსენებ ამ ლონისძიების მონაწილეებს. პროფ. მოსე ჯანაშვილიმა (1856-1934) იკვლია ჩვენი ერის სახელმწიფოს ვრცელად განფენილობა ჩრდილოეთითაც ნახევარკუნძულ აია-ს (ამჟამინდელი სახელწოდებით თუ ვიტყვით, კრიმ/ყირიმი) და მდინარე ტანაისის (ამჟამინდელი სახელით, დონ) აუზშიც. მდინარე დონის აუზშიც რომ არის ძირძველი ქართული მიწა-წყალი, დაბეჭდა ერეკლე მეორე მეფის შვილთაშვილის მიერ მიწოდებული ცნობებისა და საკუთარი კვლევით ძველი წერილობითი წყაროების განხილვის შედეგად მოპოვებული ცოდნის საფუძველზე, კიევის მიტროპოლიტმა, შემდეგ პეტერბურგში ალექსანდრე ნეველის სახელობის ლავრაში მიტროპოლიტად მოღვაწე ევგენი ბოლხოვიტინოვმა ჯერ კიდევ 1802 წელს რუსულ ენაზე მოსკოვში და 1805 წელს გერმანულ ენაზე ლაიპციგში და რიგაში დაბეჭდილ წიგნში, რომელიც ეხება ჩვენი ერის წარსულს თვალის ერთი გადავლებით. ის რუსულენოვანი წიგნი მთლიანად გადმობეჭდა გურამ შარაძემ ევგენი ბოლხოვიტინოვის ქართველთმცოდნეობითი საქმიანობისადმი მიძღვნილ თავის წიგნში 1978 წელს. მოხსენებისას დამსწრეთ ვუჩვენებ ბოლხოვიტინოვის ამ რუსულენოვანი და გერმანულენოვანი წიგნებიდან სათანადო ნაწყვეტების დასკანერებულ სურათებს.

მოხსენებისას ნავიკითხავ ნაწყვეტებს პროფ. მოსე ჯანაშვილის 1916 წლით დათარიღებული გამოკვლევიდან „ჩრდილოეთ საქართველო“. ეს მკვლევარი თითქმის სრულად ითვალისწინებს წყაროთმცოდნეობით მასალას 1916 წლამდე, რისთვისაც შეისწავლა ლურსმნული შუმერული, აქადური, ხეთური დამწერლობები და ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობაც. დაწერა მომცრო წიგნი „საქართველოს ურთიერთობა კრეტასთან“. ეს მასა-

ლები, რამდენადაც ვიცი, გამოუქვეყნებელია. კვლევის შედეგად დავადგინე, რომ სახელწოდება გეორგოი//გეორგები პირველად სტრაბონმა მოიხსენია მსოფლიოს გეოგრაფიაში იმ ჩვენინების მიმართ, რომლებიც მეორენაირად ახსენა იბერონ ხალიბებად და მათი მხარე აღნიშნა ტექსტში ქერსონესში, ასევე, მდინარე ჰიუფანის აუზში(შეესაბამება დნიეპრს მისი შენაკადი მდინარე ბუგით, ასევე, ჩრდილოეთ კასპიისპირეთში. ლონდონში 1936 წელს დაიბეჭდა ლოებ კლასიკალ სერიაში სტრაბონისეული დედანი ელინურენოვანი ტექსტი და მისი ინგლისური თარგმანი. მის მესამე ტომში დაიბეჭდა რუკა, რომელზეც აღნიშნულია გეორგების//იბერონ ხალიბების ანუ ივერიელი ხალიბების სამოსახლო არე იქ, სადაც ახლა სამხრეთ უკრაინის მხარეა. რუკას წარუდგენ დამსწრებს. ჩემი კვლევით დადგინდა, რომ გეორგების განსახლების ბირთვი პირველი საუკუნის მკვლევარების თვალსაზრისით (სტრაბონი, პლინიუსი, ტაციტუსი და პომპონიუს მელა) სწორედ იქ არის, სადაც ამჟამად უკრაინის სამხრეთი ნაწილია და იქ ჩვენი კულტურის ნიმუშებიც არის, მათ შორის წარწერები, ჭურჭელი, საღვინე ქვევრები, დოქები და სხვ.

## **სოფიო ჩხატარაშვილი**

### **უკრაინისტიკის ინსტიტუტის როლისა და მნიშვნელობისათვის XXI საუკუნის ქართულ-უკრაინულ კულტურათა დიალოგში**

უკრაინასა და საქართველოს შორის კავშირი პოლიტიკაში, ეკონომიკაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში უაღრესად საინტერესო და მრავალმხრივი იყო. საინტერესო იყო იგი ხელოვნებასა და ლიტერატურაში, მეცნიერებასა და განათლების დარგში. კიევის, ხარკოვისა და ოდესის უნივერსიტეტებში აღიზარდა ქართველი ახალგაზრდების მთელი პლეადა.

ურთიერთობების განმტკიცებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. 1940-იან წლებში უნივერსიტეტში ამ მიმართულებით გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. დაიწყო უკრაინული ლიტე-

რატურის ლექციების კითხვა. 1960-იან წლებში კი სტუდენტთა გაცვლით ქართულ-უკრაინული ურთიერთობების განმტკიცებას შეუწყო ხელი.

ნიადაგი თანდათან უფრო მნიფდებოდა. 2007 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა უკრაინისტიკის ინსტიტუტი. საბჭოს გადამწყვეტილებით ინსტიტუტის დირექტორად აირჩიეს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ოთარ ბაქანიძე.

ინსტიტუტმა ჩამოაყალიბა თავისი სამუშაო პროგრამა. კიევის უკრაინისმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორთან აკად. პ. კონონენკოსთან ერთად შემუშავდა საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამა. პროგრამის კურსდამთავრებულები იღებდნენ საფუძვლიან ცოდნას უკრაინის ისტორიის, ლიტერატურის, კულტურის, უკრაინის ადგილისა და როლის შესახებ მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში, ეუფლებოდნენ უკრაინულ ენას.

ამ რთული ამოცანის მაღალ დონეზე შესასრულებლად ინსტიტუტმა მიმართა სწავლების ახალ ფორმას – დისტანციურ სწავლებას, რაც ინოვაციურ მეთოდს წარმოადგენდა.

ინსტიტუტის ძირითადი პროფილია უკრაინული ენა და ლიტერატურა და ქართულ-უკრაინული ურთიერთობები. ამ მიმართულების ფუძემდებელი პროფ. ოთარ ბაქანიძეა. მისი ავტორობით უკრაინისმცოდნეობის დარგში გამოცემულია ოთხ ათეულზე მეტი მონოგრაფია. „უკრაინული ლიტერატურა“ – ტ. 1, ტ. 2, ტ. 3; „ნარკვევები უკრაინული ლიტერატურის ისტორიიდან“, „გრიგორი სკოვოროდა“, „ტარას შევჩენკო“, „ივან ფრანკო“, „ხალხთა მეგობრობის მომღერალი“ (მაქსიმ რილსკი); „ქართულ-უკრაინული ლიტერატურული და თეატრალური ურთიერთობანი“ არასრული ჩამონათვალია იმ ნაშრომებისა, რომლებიც წარუშლელ კვალს ტოვებენ ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიაში.

უკრაინისტიკის ინსტიტუტში დასასრულს უახლოვდება მუშაობა უკრაინულ-ქართული ლექსიკონის შექმნაზე. უკრაინულ-ქართული ლექსიკონის ანალოგი არ არსებობს არც უკრაინაში და არც საქართველოში. ეს იქნება პირველი სერიოზული ნაშრომი, რაც გაუადვილებს მუშაობას და საშუალებას მისცემს უკრაინული ენისა და ქართული ენის შესწავლის მსურველებს, მთარ-

გმწელებს, ფილოლოგებს თავისუფლად იმუშაონ უცხოენოვან ტექსტებთან, კომუნიკაცია დაამყარონ ერთმანეთთან, რადგანაც ინტერესი უკრაინისა და ზოგადად უკრაინული ენის მიმართ დიდია და მუდმივად იზრდება.

უკრაინული ენის კურსები უკრაინისტიკის ინსტიტუტში 2014 წლიდან ფუნქციონირებს უკრაინული ენის კურსები, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფ. ოთარ ბაქანიძე.

უკრაინისტიკის ინსტიტუტში დღემდე ჩატარდა მრავალი საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენცია. აღნიშნული კონფერენციები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს უკრაინისტიკის დარგის მნიშვნელობასა და აქტუალურობას საქართველოში, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მიზნად ისახავს ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, ურთიერთობების გაღრმავებას, საქართველოსა და უკრაინას შორის ლიტერატურული კონტაქტების გამყარებასა და განვითარებას. გარდა ამისა, აქტიურად მიმდინარეობს უკრაინული ენისა და ლიტერატურის პოპულარიზაცია საქართველოში და ინტერესის გაღვივება ახალგაზრდა თაობაში, მეცნიერთა წრეებში.

უკრაინისტიკის ინსტიტუტის სასწავლო და სამეცნიერო გამოწვევები განაპირობებს მისი როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრას ქართულ-უკრაინულ კულტურათა დიალოგში თანამედროვე ეტაპზე.

## **ნინო წერეთელი**

### **თანამედროვე ქართული დოკუმენტური პროზა – ინა არჩუაშვილის „ლიტვური დღიური“**

ქართულ-ლიტვურ ლიტერატურულ და კულტურულ ურთიერთობებს საინტერესო ისტორია აქვთ. ეს ურთიერთობები განსაკუთრებით ინტენსიური გასული საუკუნის 70-80-იან წლებში გახდა. ამ პერიოდში აღსანიშნავია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა კათედრის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა ვილნიუსის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტთან.

ახალგაზრდა ქართველი მწერლის, *ინა არჩუაშვილის*, „ლიტვური დღიური“ თანამედროვე ქართული დოკუმენტური პროზის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს. ლიტვაში მოგზაურობამდე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ავტორზე ბალტიისპირეთის ქვეყნების ცნობილმა „ცოცხალმა ჯაჭვმა“ მოახდინა, რომელსაც მალევე მოჰყვა ჯერ ლიტვის, შემდგომ ლატვიის და ესტონეთის დამოუკიდებლობა. „დღეს კი ეს ქვეყნები, ნატოს და ევროკავშირის წევრი ქვეყნები არიან. ო, ეს ლიტვური პატრიოტიზმი, როგორი ჯანსაღი და არაფსევდო აღმოჩნდა ქართულისაგან განსხვავებით. ასეთ დროს „განა შურით ატანილმა და დაბოლმელმა სხვა ქვეყნის „სიკეთესა ზედა“, არამედ როგორც ამ ქვეყნის გულდანყვეტილმა შვილმა, არ შემოძლია სინანულით არ ვთქვა, რომ ჩვენი სანყალი ქვეყანა, რომელიც კვალში ედგა ლიტვას და ბევრად დიდი მსხვერპლი გაიღო დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, სამწუხაროდ, ჯერ ისევ მხოლოდ ფურცლებზე – ათასგვარ წესდებებსა და რეზოლუციებშია „დამოუკიდებელი“, „სუვერენული“, „ხელშეუხებელი“ და „ნატოს და ევროკავშირის პოტენციური წევრი“. საინტერესოა ავტორის მსჯელობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე, რომელთაც საერთო საბჭოური წარსული აქვთ: „მიუხედავად სახეცვლილებისა, ყოველთვის თავს გვახსენებს მათი წარსული და ბევრი ქალაქის არქიტექტურაც ერთმანეთს ჰგავს, ისევე, როგორც ადამიანებს, ვინც საბჭოთა პერიოდში დაიბადა, საბჭოთა იდეოლოგიის და კულტურის კვალი ატყვია და ზუსტად ჩვენნაირ ბედში არიან საბჭოთა ბორკილებისგან თავდაღწეული ქვეყნებიც, რომლებიც თითქოს ლამაზდებიან, იხვენებიან, იერს ევროპულად იცვლიან, მაგრამ მათ ჩრდილოურ, აზიურ თუ კავკასიურ შუბლებს ჯერაც ადგას ხუთქიმიანი ვარკვლავის მკრთალი წითელი შუქი“. „ლიტვური დღიური“ სრულ, ამომწურავ ინფორმაციას აწვდის მკითხველს ლიტვურ-ქართულ ლიტერატურულ სემინარზე, ამ საინტერესო ლიტერატურულ მოვლენაზე. ეს არ არის ორი ქვეყნის ლიტერატორთა შეჯიბრი, სემინარის მიზანია ორ ქვეყანას შორის შეწყვეტილი კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობების აღდგენის ხელშეწყობა, თანამედროვე ლიტვური და ქართული ლიტერატურულ ნი-

მუშების თავდაპირველად ერთმანეთისთვის, შემდეგ კი ფართო საზოგადოებრივთვის გაცნობა, და ბოლოს კი დასრულებული ლიტერატურული პროდუქციის ორივე ენაზე გამოცემა ინტერნეტგამოცემისა თუ აღმანახების სახით.

ინა არჩუაშვილისთვის ლიტვის აღქმა მრავალფეროვანი და მრავალპლანიანია. მისთვის ლიტვა შორეულიცაა და ახლობელიც, რადგან თავის პოლონურ ძირებს ლიტვაშიც ეძებს და წინაპრების დაუდევრობის გამო დაკარგულ ნამდვილ გვარზე ინფორმაციას აგროვებს, თუმცა, ხელშესახებ მასალას ვერ პოულობს. ლიტვური მზე მისთვის „ჩრდილოური და უძალოა“, . ავტორს ეს ქვეყანა შემოქმედებითად განაწყობს და სურს, „უნიკალური, ჩრდილოური სიმშვიდე დაიმახსოვროს სამშობლოში წასაღებად“ . ბინარული ოპოზიცია „ჩემი-სხვისი“ განსაკუთრებით კარგად ჩანს დოკუმენტურ პროზაში და ამ თვალსაზრისით, ინა არჩუაშვილის „ლიტვური დღიური“ მნიშვნელოვანი ტექსტია.

## **რუსუდან ჭანტურიშვილი**

### **პროფესორ ოთარ ბაქანიძის რედაქტორობით გამოცემული უკრაინულ-ქართული ორენოვანი კრებულები**

კლუბ „უკრაინას“, ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრისა და უკრაინისტიკის ინსტიტუტის მიერ 1971 წლიდან დღემდე გამოცემულია 32 ორენოვანი კრებული (33-ე კრებული სტამბაშია), რომლის სულისჩამდგმელი, რედაქტორი და პროექტის ავტორი არის პროფ. ოთარ ბაქანიძე. ყველა კრებულს მისი წინასიტყვაობა ამშვენებს და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ცნობილი მთარგმნელების გვერდით, ამ ორენოვან კრებულებში სტუდენტებიც მონაწილეობენ.

I ორენოვანი პოეტური კრებული – **ლესია უკრაინკა, „სინათლე! სინათლე!“** ქ-ნ ნია აბესაძის თარგმანებით, 1971 წელს გამოიცა, როცა თსუ-ში ჯერ კიდევ არა თუ კათედრა, „ხალხთა მეგობრობის კაბინეტიც“ არ არსებობდა (კაბინეტი 1973 წელს დაარსდა და გამგედ პროფ. ოთარ ბაქანიძე და-

ინიშნა). ლესია უკრაინკას აღნიშნული კრებული პოეტის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა. აღსანიშნავია, რომ ამ კრებულის გამოსვლამდე, იმავე 1971 წ. გამოიცა პროფ. ოთარ ბაქანიძის წიგნი „ლესია უკრაინკა“. ლესია უკრაინკას შემოქმედება, ბ-ნი ოთარის რედაქტორობით, კიდეც 3 ორენოვან კრებულში აისახა. ეს კრებულებია: **„გამარჯობა, უკრაინავ!“** (უკრაინელი პოეტების ლექსები თარგმნა ნია აბესაძემ) თბ., 1989; **„ღვთის ნყალობა“** (დავით გურამიშვილისა და ლესია უკრაინკას პოეზია), თბ., 1996; ლესია უკრაინკა, **„იმედი“**, თბ., 2007. მისასალმებელია, რომ ამ ბოლო კრებულში, ლესია უკრაინკას ლექსებთან ერთად, პირველად იბეჭდება პოეტის პირადი წერილები ნინო ნასყიდაშვილისა და რევაზ ხვედელიძის თარგმანებით.

1972-1981 წლებში გამოიცა **გრიგორი სკოვოროდას, მიკოლა ბაჟანის, პავლო ტიჩინას, მაქსიმ რილსკისა და ივან ფრანკოს** ორენოვანი კრებულები, რომლებიც ამ პოეტების საიუბილეო თარიღებს მიეძღვნა. პარალელურად, ამ შემოქმედთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნები გამოდიოდა პროფ. ოთარ ბაქანიძის ავტორობით.

**მიკოლა ბაჟანის** ორენოვანი კრებული პირველად 1974 წ. გამოიცა სათაურით **„მზის შადრევნები“**; მეორედ კი – 2004 წ. სათაურით **„წყარო“**. ქართულ თარგმანებთან ერთად აქ არის დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა.წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, ირაკლი აბაშიძის თითო-თითო ლექსის მიკოლა ბაჟანისეული თარგმანები.

**ივან ფრანკოს** ორენოვანი კრებულები ორჯერ გამოიცა: **„ქვისმტეხელნი“**, თბ., 1981 და **„შემოდგომის ფიქრები“**, თბ., 2017. ბოლო კრებულში ივან ფრანკოს 2 მოთხრობაც შევიდა ნინო ყიფიანისა და იელის ქართული თარგმანებით.

სამჯერ გამოიცა **ტარას შევჩენკოს** შემოქმედების ორენოვანი კრებული. ეს კრებულებია: **„კავკასი“**, თბ., 1989; **„მთების იქით მთები...“**, თბ., 2007; **„კობზარი“**, თბ., 2014. ბოლო კრებული წინა კრებულის თარგმანებსაც შეიცავს და ბევრი ახალი თარგმანითაც არის გამდიდრებული.

2012 წ. არის გამოცემული კიდევ ერთი გამოჩენილი მე-20 ს-ის პოეტის-**ანდრი მალიშკოს** ლექსების ორენოვანი კრებული **„სიმღერა სულისა“**. კრებულის პროექტის ავტორია პროფ. ოთარ ბაქანიძე. აღმსრულებელი რედაქტორები კი- ივანე მჭედელაძე და ნათია ამირეჯიბი. კრებული ანდრი მალიშკოს დაბადებიდან 100 წლისთავს ეძღვნება. კრებულში შესულია გ. ნიბახაშვილის, რ. ჩილაჩავას, თ. ქურდოვანიძის, ტ. მახაურის, რ.ჭანტურიშვილის და ახალგაზრდა მთარგმნელების: ნ. ნასყიდაშვილის, ს. ჩხატარაშვილის, ი. მჭედელაძის, ა. ტაბატაძის, ნ. ლარცულიანის, ხ. გაბიტაშვილის თარგმანები.

2009 წ. თსუ-მა და უკრაინისტიკის ინსტიტუტმა გამოჩენილი უკრაინელი მეცნიერისა და მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, აკადემიკოს **პეტრო კონონენკოს**, ის ლექსები გამოსცა, რომლებიც მან საქართველოს მიუძღვნა. ქართველი მთარგმნელები არიან: ნ. ჭუმბურიძე, რ. ჭანტურიშვილი, ნ. ნასყიდაშვილი. ყველაზე დიდი ლექსი- „საქართველო“, ტრიპტიხი ეძღვნება პროფ. ოთარ ბაქანიძეს.

2016 წ. უკრაინისტიკის ინსტიტუტმა და კლუბმა „უკრაინამ“ პროფ. **ოთარ ბაქანიძისა** და კიევის უნივერსიტეტის პროფ. **ლუდმილა გრიციკის** პროექტით გამოსცა ორენოვანი კრებული **„ენა ზეციური“**, რომელშიც შესულია კიევის უნივერსიტეტის შემოქმედებით კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ლექსები. ამ ლექსების ქართველი მთარგმნელები არიან: ნ. ნასყიდაშვილი, ი.მჭედელაძე, ს. ჩხატარაშვილი, ტ. მახაური, დ. ბედიანიძე, რ. ჭანტურიშვილი, ნ. ლარცულიანი. თსუ-ში გამოცემულ ამ წიგნს დიდი სიხარულით შეხვდნენ უკრაინაში და ბევრი თბილი გამოძახილიც ჰქონდა პრესაში.

ქართული პოეზიის უცხოელებისათვის გაცნობის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია **ქართულ-უკრაინული** ორენოვანი კრებულები, რომელთა პროექტის ავტორი, რედაქტორი ან თანარედაქტორი არის პროფ. ოთარ ბაქანიძე. ეს ორენოვანი კრებულებია: **გალაკტიონ ტაბიძე**, მთაწმინდის მთვარე, თბ., 1982; **დავით გურამიშვილი**, პოეზია, თბ., 2005; **ილია**

**ჭავჭავაძე**, მამულო საყვარელო, თბ., 2007; **ვაჟა-ფშაველა**, არწივი, თბ., 2011; **აკაკი წერეთელი**, ჩანგური, თბ., 2015.

ის უკრაინელი მოლვანნი, რომელთაც პროფ. ოთარ ბაქანიძემ მრავალი სამეცნიერო ნაშრომი უძღვნა და მათი შემოქმედება ორენოვანი კრებულებით ქართულ საზოგადოებას გააცნო, ქართულ-უკრაინულ ორენოვან კრებულებში თავად გვევლინებიან ქართული პოეზიის დესპანებად უკრაინული საზოგადოებისათვის. ვკითხულობთ ქართველი პოეტების უკრაინულ თარგმანებს შესრულებულს **მიკოლა ბაჟანის, ანდრიი მალიშკოს, ოლეს გონჩარის, პ. გრაბოვსკის, ო. ნოვიცკის, პ. ტიჩინას** თარგმანებს და ვგრძნობთ რამდენი გრძნობაა ამ თარგმანებში ჩაქსოვილი.

ყველა კრებულს თან სდევს ის სიტბო და სიყვარული, რომელიც პროფ. **ოთარ ბაქანიძის** რედაქტორობით გამოცემული ორენოვანი კრებულების წინასიტყვაობებიდან უხვად იფრქვევა.

### **Олександр Боронь**

#### **Грузинська шевченкіана на сторінках «Шевченківської енциклопедії»**

У шеститомній «Шевченківській енциклопедії», яка побачила світ у 2012–2015 роках, помітне місце посідає висвітлення рецепції поезії Шевченка у грузинській літературі. Концептуально ці та інші проблеми представлено в узагальнювальній розвідці «Грузинська література» з пера О. Баканідзе та Л. Грицик. Стаття слугує надійним орієнтиром у розмаїтті грузинської шевченкіани: виокремлено провідні тенденції у поширенні творчості Шевченка в Грузії, окреслено особливості перекладацької практики грузинських поетів, названо найпомітніші вірші, присвячені Шевченкові, тощо.

Загалом грузинську шевченкіану представлено у «Шевченківській енциклопедії» у понад 60 персоналіях, чільне місце серед яких належить плеяді талановитих інтерпретаторів творчості українського поета грузинською мовою, а також авторів віршів про нього. У більших чи менших

статтях, велику частину з яких написав Реваз Хведелідзе, названо переклади, що їх виконали ці письменники в різні роки, наведено заголовки віршів про Шевченка, стисло охарактеризовано зміст статей і публічних виступів про українського поета.

Інша велика група персоналій охоплює доробок переважно літературознавців, дослідників Шевченкової творчості, чимало з яких водночас – відомі письменники. У цих статтях стисло охарактеризовано внесок кожного у розвиток грузинського шевченкознавства, відзначено проблематику тих чи інших праць тощо. Не залишено поза увагою і творчість грузинських художників, які у своїй творчості зверталися до образу українського поета.

Статті про грузинську шевченкіану в енциклопедії відображають активну перекладацьку діяльність численних поетів Грузії, їхнє художнє осмислення постаті та творчості Шевченка в багатьох віршах і поемах. Наукове значення зберігає низка праць грузинських дослідників, присвячених поглибленому студюванню окремих епізодів життя українського поета, тих чи інших аспектів його творчості, ряду проблем перекладознавства. Український читач дістає широке уявлення про рецепцію постаті та творчості Шевченка в Грузії і може піти значно далі, ознайомившись із пристатейними списками літератури.

### **Музичко Олександр**

#### **Популяризація грузинської літератури в Одесі наприкінці XIX – на початку XX ст.**

Грузинські вечірки в Одесі незмінно збирали багато людей і приносили великі збори. До 20-го ювілею з дня смерті грузинського романіста О. Казбегі на початку 1914 р. одеські грузини відзначили ювілей в залі «Огнісько». Найбільшим розмахом відрізнявся вечір на честь 75-я Іллі Чавчавадзе, який відвідали 1500 чоловік, де виступив хор грузинських студентів під керівництвом Г.Купрашвілі. У 1916 р. було відзначено сторіччя від дня народження М. Бараташвілі. В одеській пресі містилися статті про видатних грузинських поетів та письменників та уривки у

перекладі на російську мову їх творів, що можна вважати другим напрямком ознайомлення інтелігентних одеситів з грузинською літературою. Наприклад, у газеті «Южное обозрение» був опублікований уривок з повісті Іллі Чавчавадзе, передрук з газети «Кавказ». Автор іншої статті, що заховався за криптонімом «В.У» висвітлив основні риси тогочасної грузинської літератури загалом. На його думку, найбільш народним поетом був О. Казбегі. На початку ХХ ст. на шпальтах одеських газет одесити мали можливість ознайомитися з основними біографічними даними та рисами творчості І. Чавчавадзе та М. Бараташвілі. Великий резонанс в одеській пресі мала смерть у 1915 р. А. Церетелі.

### **Ярослав Пилипчук**

#### **Ранні алани: питання політичної та етнічної історії**

Ця доповідь присвячена питанням політичної та військовій історії аланів у I-V ст. н.е. Алани були складним конгломератом іраномовних племен. Вони являли собою як сарматські племена аорсів та сіраків, так і централь-ноазійські племена аланів и сако-масагетського кола, а також юечжів. Поява аланів на Північному Кавказі можна датувати не раніше середини I ст. н.е. Власне аланським був похід 72 р. н.е., похід 35 р. н. е. повинні були здійснити аорси. Зростання агресивності алан у III в. н.е. можна пов'язати з формуванням нових груп аланського населення у східноєвропейських та північнокавказьких степах.

დაიბეჭდა თსუ-ის გამომცემლობის სტამბაში

